



საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების
მარეგულირებელი ეროვნული კომისია

სასმელი წყლის მიწოდებისა და მოსმარების წესები

გიორგი ჩახნაშვილი
ადმსრულებელი დირექტორი
დეკემბერი 2008 წ.

მარეგულირებელი კანონმდებლობა

-საქართველოს კანონი “წყლის შესახებ”

- საქართველოს კანონი „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“

- საქართველოს პარლამენტმა 20.11.2007წ.-ს მიიღო ცვლილებები საქართველოს კანონში „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“, რის მიხედვითაც საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელ კომისიის ფუნქციებს დაემატა წყალმომარაგების რეგულირებაც და დაეკისრა სასმელი წყლის მიწოდების და ჩანადენი სითხის გატარება – გაწმინდის სფეროში სატარიფო რეგულირება
- ამავე ცვლილებების თანახმად, კომისიას დაევალა 2008 წლის 1 სექტემბრამდე დაემტკიცებინა წყალმომარაგების ტარიფის დადგენის მეთოდოლოგია და სასმელი წყლის მიწოდებისა და მოხმარების წესები

წესების მომზადებაში მონაწილე მხარეები:

- საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი კომისია;
- წყლის მიმწოდებელი იურიდიული პირები

პროექტი გადაეგზავნათ განხილვისთვის:

- გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო
- მუნიციპალიტეტები
- კვლევითი ინსტიტუტები
- საერთაშორისო ექსპერტები

სასმელი წყლის მიწოდებისა და მოხმარების წესები არეგულირებს
სასმელი წყლის მიმწოდებელსა და მომხმარებელს შორის
ურთიერთობებს სასმელი წყლის წყალმომარაგების სისტემის
მეშვეობით სასმელი წყლის ყიდვის, გაყიდვის, მიწოდებისა და
მოხმარების დროს

წესები არეგულირებს შემდეგ საკითხებს :

- მომსახურების გაწევის საფუძველი და პირობები
- აღრიცხვის კვანძის მოწყობა
- სასმელი წლის მიმწოდებლის ვალდებულებები და სასმელი წყლის წყალმომარაგების სისტემის გაფართოება
- სასმელი წყლის უკანონო მოხმარება და მისი აღკვეთის საშუალებები
- სასმელი წყლის ღირებულების და მომსახურების დარიცხვა და გადახდა
- დარიცხვასთან დაკავშირებული დავები და მისი განხილვა
- სასმელი წყლის მიწოდებისა და მომსახურების შეწყვეტა
- მიმწოდებლის მიერ სხვისი კუთვნილი ქსელის მეშვეობით მომხმარებლის სასმელი წყლით მომარაგება
- ახალი მომხმარებლის სასმელი წყლის წყალმომარაგების სისტემაზე მიერთების წესი
- წყალარინება და სისტემით სარგებლობის წესები და სხვ.

მომსახურების გაწევის საფუძველი და პირობები

მიმწოდებელი ვალდებულია:

- გაუწიოს მომსახურება ყველა სახის მომხმარებელს ამ წესების შესაბამისად და უზრუნველყოს ამ წესებით ნაკისრი სხვა ვალდებულებების სათანადოდ შესრულება;
- წყალმომარაგებისას დაიცვას ტექნიკური და უსაფრთხოების დადგენილი ნორმები და წესები;
- უზრუნველყოს მომხმარებელთა მუდმივი მომსახურება – მათ შორის მუდმივმოქმედი 24 საათიანი სატელეფონო ცხელი ხაზით მომსახურება;
- დაუყოვნებლივ მოახდინოს სათანადო რეაგირება შეტყობინებაზე სასმელი წყლით მომარაგების შეწყვეტის ან/და დაწნევის ცვალებადობის შესახებ;
- განახორციელოს წყალმომარაგების მომსახურება და უზრუნველყოს მომხმარებელისთვის საქართველოში მოქმედი სტანდარტების და ტექნიკურ რეგლამენტების შესაბამისი სასმელი წყლის მიწოდება;
- განახორციელოს წყალარინება, შესაბამისად, ჩამდინარე სითხის გარემოსაგან იზოლირება და მისი წყალსატევში ჩაშვებამდე, სათანადოდ გაწმენდის უზრუნველყოფა.

მომსახურების გაწევის საფუძველი და პირობები

მიმწოდებელი უფლებამოსილია შეწყვიტოს მომხმარებლისთვის სასმელი წყლის მიწოდება, თუ:

- მომხმარებელის მიერ გადახდილი არ არის მოხმარებული სასმელი წყლის საფასური;
- მომხმარებლის მიერ ირღვევა სასმელი წყლის წყალმომარაგების სისტემაზე მიერთების ტექნიკურ პირობა;
- მომხმარებელი არ ასრულებს ამ წესებით დადგენილ პირობებს ან/და ხელშეკრულებით გათვალისწინებულ იმ ვალდებულებებს, ითვალისწინებს სასმელი წყლით მომარაგების შეწყვეტას;
- საჭიროა გეგმიური ან ავარიული სარემონტო სამუშაოების ჩატარება.

აღრიცხვის კვანძი

- მიმწოდებელი ვაღდებუღია, მოაწყოს აღრიცხვის კვანძი, შესაბამისად შეიძინოს, დაამონტაჟოს და შეაკეთოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი,
- მიმწოდებელს უფლება აქვს (ზოგიერთ შემთხვევაში ვაღდებუღია), მოხსნას, შეაკეთოს, დაამოწმოს და შეცვალოს აღრიცხვის კვანძი, ამასთან კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება

სასმელი წყლის მიმწოდებლის ვალდებულებები

მიმწოდებლის წყალმომარაგების სისტემის გაფართოება,
რეკონსტრუქცია, შეკეთება, დანადგარების დამონტაჟება-მიერთება
შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ მიმწოდებლის მეშვეობით,
ხოლო თუ მომხმარებლის მიერ აღნიშნულ ქმედებებში გადახდილ
იქნა თანხა, იგი უფლებამოსილია მოითხოვოს ამ თანხის უკან
დაბრუნება ან მისი შემდგომში გაქვითვა.

სასმელი წყლის უკანონო მოხმარება და მისი აღკვეთა

- სასმელი წყლის უკანონო მოხმარებაში იგულისხმება სისტემაზე მოწყობილობებისა თუ მილსადენის თვითნებურად მიერთება, მრიცხველის ბრჯენების განზრახ დაზიანება, მრიცხველის ციფრული მაჩვენებლის გაყალბება, წყლის დატაცება. ასევე ხანძარსაწინააღმდეგო სისტემიდან და მისი შემადგენელი ქსელიდან, სასმელი წყლის არასანქცირებული მოხმარება.
- სასმელი წყლის უკანონო მოხმარების გამოვლენის შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია შეუწყვიტოს სასმელი წყლით მომარაგება შესაბამის მომხმარებელს. ამ შემთხვევაში, სასმელი წყლით მომარაგების შეწყვეტა შესაძლებელია მომხმარებლის წინასწარი გაფრთხილების გარეშე

სასმელი წყლის უკანონო მოხმარება და მისი აღკვეთა

სასმელი წყლის უკანონო მოხმარების შემთხვევაში მომხმარებელი ვალდებულია გადაიხადოს მოხმარებული წყლის საფასური, შემდეგი წესით:

- თუ შესაძლებელია დატაცებული წყლის საფასურის დადგენა, მოხდება მხოლოდ მონაცემების ჩასწორება
- თუ ცნობილია დღის/ან თვის განმავლობაში მოხმარებული წყლის ოდენობა, მაგრამ უცნობია უკანონო მოხმარების დაწყების თარიღი, გამოთვლა მოხდება მრიცხველის ბოლო ჩვენებიდან (მაგრამ არაუმეტეს ერთი თვისა)
- თუ შეუძლებელია დღის/ან თვის განმავლობაში მოხმარებული წყლის ოდენობის დადგენა, მაგრამ ცნობილია უკანონო მოხმარების დაწყების თარიღი, მომხმარებელს დაერიცხება წლის განმავლობაში მაქსიმალური სამი თვის მოხმარების, საშუალო დღიური ხარჯით.

სასმელი წყლის უკანონო მოხმარება და მისი აღკვეთა

- თუ შეუძლებელია უკანონო მოხმარების დაწყების თარიღის და დღის განმავლობაში მოხმარებული წყლის ოდენობის დადგენა, მომხმარებელს დაერიცხება ერთვიანი პერიოდის განმავლობაში, ამ მომხმარებლის მიერ წლის განმავლობაში მაქსიმალური სამი თვის მოხმარების, საშუალო დღიური ხარჯით
- თუ ცნობილია დღის/ან თვის განმავლობაში მოხმარებული წყლის ოდენობა, მაგრამ უცნობია უკანონო მოხმარების დაწყების თარიღი, გამოთვლა მოხდება მრიცხველის ბოლო ჩვენებიდან (მაგრამ არაუმეტეს ერთი თვისა)
- თუ შეუძლებელია დღის/ან თვის განმავლობაში მოხმარებული წყლის ოდენობის დადგენა, მაგრამ ცნობილია უკანონო მოხმარების დაწყების თარიღი, მომხმარებელს დაერიცხება წლის განმავლობაში მაქსიმალური სამი თვის მოხმარების, საშუალო დღიური ხარჯით.
- მომხმარებელს, რომელიც უკანონოდ სარგებლობდა მიმწოდებელის მომსახურებით, გარდა მიმწოდებელისთვის მიყენებული ზიანის კომპენსაციისა, შეიძლება სასამართლოს მიერ დაეკისროს ადმინისტრაციული სახდელი.

სასმელი წყლის ღირებულების და მომსახურების დარიცხვა და გადახდა

მომხმარებლის მიერ მოხმარებული სასმელი წყლის საფასურის დარიცხვა ხორციელდება:

- ა) ინდივიდუალური მრიცხველის შემთხვევაში, მხოლოდ ამ ინდივიდუალური მრიცხველის ჩვენებაზე დაყრდნობით;
- ბ) გაუმრიცხველიანი საყოფაცხოვრებო მომხმარებლის შემთხვევაში სულადობის მიხედვით.

მიმწოდებელს უფლება აქვს, მომხმარებელს მოთხოვოს მის დეპოზიტზე თანხის შეტანა, თუ

- პირი, აბონენტად დარეგისტრირდა დროებით მის სარგებლობაში არსებული ქონების მისამართზე;
- მომხმარებელმა სამჯერ ან მეტჯერ გადაგადაცილებით გადაიხადა მოხმარებული სასმელი წყლის საფასური 12 თვიანი პერიოდის განმავლობაში
- მომხმარებელს მომსახურება შეუწყდა სასმელი წყლის უკანონოდ მოხმარებისთვის

სასმელი წყლის ღირებულების და მომსახურების დარიცხვა და გადახდა

დეპოზიტზე შეტანილი თანხა უნდა დაუბრუნდეს მომხმარებელს,
თუ:

- მომხმარებელმა ნებაყოფლობით უარი თქვა მომსახურებაზე და საბოლოო ანგარიშსწორებისას დარიცხული თანხა სრულად დაფარა;
- 12 თვის განმავლობაში მომხმარებელი კეთილსინდისიერად ასრულებდა მის მიერ ნაკისრ ვალდებულებებს და დარიცხული თანხა სრულად და დროულად არის გადახდილი

დავების განხილვა

- დაუშვებელია მომხმარებლისთვის სასმელი წყლით მომარაგების შეწყვეტა მოთხოვნის წაყენებისა და ამ მოთხოვნის შესრულებისათვის გონივრული ვადის განსაზღვრის გარეშე. ხოლო ამ წესებით განსაზღვრული პროცედურების დაცვის გარეშე სასმელი წყლით მომარაგების შეწყვეტის შემთხვევაში, მომარაგება უნდა აღდგეს დაუყოვნებლივ.
- კომისიის ან სასამართლოს მიერ მომხმარებელსა და მიმწოდებელს შორის დავის განხილვის პერიოდში დაუშვებელია სასმელი წყლით მომარაგების შეწყვეტა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დავა ეხება მიმდინარე საფასურის გადახდასთან დაკავშირებულ უთანხმოებას.

სასმელი წყლის მიწოდებისა და მომსახურების შეწყვეტა

- გეგმიური სარემონტო სამუშაოების ჩატარებისას, მომხმარებელს სასმელი წყლით მომარაგების შეწყვეტისა და მისი ხანგრძლივობის შესახებ წინასწარ უნდა ეცნობოს 10 დღით ადრე მაინც (მოცემული პირობის დარღვევის შემთხვევაში, შესაბამისად, უნდა მოხდეს სასმელი წყლით მომარაგების შეწყვეტის გადავადება)
- თუ მომხმარებელი ერთი თვის განმავლობაში ზედიზედ ორჯერ განზრახ არ დაუშვებს მიმწოდებლის წარმომადგენელს სასმელი წყლის მრიცხველთან, მას უფლება აქვს, შეუწყვიტოს მომხმარებელს სასმელი წყლით მომარაგება
- თუ მომხმარებელი ერთი თვის განმავლობაში ზედიზედ ორჯერ განზრახ არ დაუშვებს მიმწოდებლის წარმომადგენელს სასმელი წყლის მრიცხველთან, მას უფლება აქვს, შეუწყვიტოს მომხმარებელს სასმელი წყლით მომარაგება

მიმწოდებელის მიერ სხვისი კუთვნილი ქსელის მეშვეობით მომხმარებლის სასმელი წყლით მომარაგება

- პირი, რომელიც არ არის მიმწოდებელი, მაგრამ ფლობს ქსელს, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის თანახმად, ვალდებულია, სხვა მომხმარებელთა სასმელი წყლით მომარაგების მიზნით, ითმინოს მისი ქსელით სარგებლობა და გაატაროს სასმელი წყალი
- მიმწოდებელსა და ქსელის მფლობელს შორის შეთანხმებამ არ უნდა გამოიწვიოს მომხმარებლის სასმელი წყლის მომარაგების გაუარესება, მათ შორის, სასმელი წყლის საფასურის გაძვირება

მომხმარებლის სასმელი წყლით მომარაგების აღდგენის საფასური

მიმწოდებელი უფლებამოსილია, მოხმარებული სასმელი წყლის საფასურის გადაუხდელობის, სასმელი წყლის უკანონოდ მოხმარების ან/და უსაფრთხოების წესების დარღვევის გამო ქსელიდან ჩახსნილ მომხმარებელს, სასმელი წყლით მომარაგების აღდგენისათვის, დაარიცხოს ქსელიდან ჩახსნისა და აღდგენის ღირებულება, რომელიც მიმწოდებლისთვის წარმოადგენს შემოსავალს და გათვალისწინებულ იქნება წყალმომარაგების ტარიფების გაანგარიშებისას

ანგარიშგება

- მიმწოდებელი ვალდებულია ყოველი წლის 1 აპრილამდე ფინანსურ ანგარიშთან ერთად წარადგინოს კომისიაში განცალკევებული ფინანსური და ტექნიკური ანგარიში, რაც დადასტურებული უნდა იყოს აუდიტორული დასკვნით. ასევე ყოველკვარტალურად კომისიას მიაწოდოს ოპერატიული ინფორმაცია გამანაწილებელ ქსელებზე ახალი მომხმარებლების მიერთების სამუშაოთა შესრულების მიმდინარეობის შესახებ.

- მიმწოდებელი ვალდებულია, ყოველი კვარტალის დამთავრებიდან ერთი თვის განმავლობაში მიაწოდოს კომისიას წყალმომარაგებისა და მომსახურების ერთიანი რეესტრი გასული პერიოდის შესახებ

- მიმწოდებლები ვალდებული არიან:

ა) 2009 წლის 1 იანვრამდე კომისიაში წარმოადგინონ სასმელი წყლის წყალმომარაგებისა და წყალარინების არსებული მდგომარეობა, სასმელი წყლის უწყვეტად ან/და გრაფიკით მიწოდების შესახებ უბნების აღნიშვნით.

ბ) 2009 წლის 1 მაისამდე მომხმარებელთა სასმელი წყლით მუდმივად მომარაგების უზრუნველყოფის გეგმა, შესაბამის ეტაპზე სასმელი წყლით მუდმივად მომარაგების უბნების მითითებით, ასევე წყალარინებისას ჩამდინარე წყლის სათანადოდ გაწმენდის ვადები.



გზადღობთ ყურადღებისათვის